# დირექტორობის კანდიდატები საქართველოს საჯარო სკოლებში, 2023

*ბიულეტენი მომზადებულია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ*

ივლისი, 2023

# დირექტორობის კანდიდატები საქართველოს საჯარო სკოლებში, 2023

- როგორია სკოლის დირქტორის გავლენა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე?
- რამდენად რეალურია დირექტორების არჩევნების პროცესი საქართველოში?
- რომელი საჯარო სკოლებია კანდიდატების ყველაზე მეტი რაოდენობით?
- როგორია კონკურენცია ქალაქის სკოლებში?
- როგორია კონკურენცია სოფლის/დაბის/თემის სკოლებში?

# ძირითადი მიგნებები/სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი 2023

- საჯარო სკოლების 81,6 %-ში ამჟამად მიმდინარე სკოლის დირექტორის არჩევნების პროცესი, ფაქტობრივად, არ განხორციელდება;
- მხოლოდ 382 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს რეალური კონკურსი სკოლის დირექტორების შესარჩევად - სკოლების საერთო რაოდენობის მხოლოდ 18,4%-ში;
- ქალაქის 478 სკოლიდან 45 საჯარო სკოლას არ ჰყავს დირექტორობის კანდიდატი;
- ქალაქის 210 სკოლაში მხოლოდ 1 კანდიდატია, ანუ ქალაქის სკოლები 53%-ში კონკურენცია არ არის;
- სოფლის, თემის, და დაბის 1595 სკოლიდან 753 სკოლაში სკოლის დირექტორობის კანდიდატი რეგისტრირებული არ არის;
- სოფლის, თემის და დაბის საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის ზუსტად 10%-ში (159 სკოლაში 1595 საჯარო სკოლიდან) იქნება კონკურსი და სკოლის დირექტორის არჩევის რეალური შესაძლებლობა კონკურენციის საფუძველზე;
- დაბალია კონკურენცია სკოლებში, რომლებსაც ერთი ვადით ნამუშევარი დირექტორობის მოვალეობის შემსრულებელი ჰყავთ, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეულია იმით, რომ მათ ახლა აქვთ შესაძლებლობა, მეორე ვადით იყვნენ არჩეული. როგორც ჩანს, ასეთ სკოლებში კონკურენციაში ნაკლებად შევიდნენ ახალი კანდიდატები.

# სკოლის დირექტორის გავლენა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე

- სკოლის დირექტორის როლი მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების და კეთილდღეობის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია, რაც განსაკუთრებით დადასტურდა ბოლოდროინდელი კვლევებით.

- 2004 წელს ამერიკელმა მკვლევრებმა ჩაატარეს კვლევათა მეტაანალიზი. კვლევამ აჩვენა, რომ სკოლის ხელმძღვანელებს, მასწავლებლის შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, რაც წინ უსწრებდა სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს*.

- 2021 წელს Wallace Foundation-ის ეგიდით განხორციელდა ბოლო 20 წლის სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობის ეფექტურობაზე ჩატარებული კვლევების მეტაანალიზი. კვლევის ფარგლებში 22000 სკოლის ხელმძღვანელის საქმიანობის ეფექტი იქნა შესწავლილი. აღმოჩნდა, რომ სკოლის ხელმძღვანელის ეფექტი აჭარბებს მასწავლებლის ეფექტსაც კი.

* (Grissom, Jason A., Anna J. Egalite, and Constance A. Lindsay. 2021).

# დირექტორის სერტიფიცირების პროცესი საქართველოში/ 2013-2014 წლები

- 2010 წელს მიღებული სკოლის დირექტორის სტანდარტის შესაბამისად, შესაძლებელი გახდა სკოლის ხელმძღვანელთა სერტიფიცირება.

- ხელმძღვანელთა  სერტიფიცირების პროცესი განხორციელდა 2013-2014 წლებში. 2013-2014 წლებში სასერტიფიკატო გამოცდა ჩააბარა 1305 პირმა, თუმცა, 2021 წლის მდგომარეობით, სკოლის მოქმედი ხელმძღვანელებიდან სერტიფიცირებული იყო 784 ხელმძღვანელი ანუ საერთო რაოდენობის მხოლოდ 38%.

- 2021 წლის მონაცემებით, არასერტიფიცირებული სკოლის დირექტორთა ჭარბი რაოდენობა ბევრად თვალსაჩინო იყო  რეგიონულ ჭრილში. თბილისის გარდა, ყველა რეგიონში არასერტიფიცირებული ხელმძღვანელები სჭარბობდა.
- სკოლის დირექტორის კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატის სერტიფიცირებულობა სავალდებულოა. სკოლის დირექტორის კონკურსში მონაწილეობა მხოლოდ დირექტორობის სერტიფიცირებულ კანდიდატებს შეუძლიათ;
- განათლების და მეცნიერების მინისტრს აქვს დისკრეციული უფლება, დანიშნოს სკოლის დირექტორი, მათ შორის - არასერტიფიცირებული პირი, თუკი ვერ მოხდება სერტიფიცირებული დირექტორობის კანდიდატის არჩევა სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ.

# დირექტორთა სერტიფიცირების პროცესი 2022-2023 წლები

- 2022 წელს, სკოლის დირექტორის ახალი სტანდარტის მიღების შემდგომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო სკოლის დირექტორთა სერტიფიცირების პროცესი. სერტიფიცირების პირველ ეტაპზე (ტესტირება) 3200 მსურველი დარეგისტრირდა. გამოცდაზე გამოცხადდა 1839 ადამიანი. ტესტირების შედეგად, სერტიფიცირების მეორე ეტაპზე, ანუ გასაუბრების ეტაპზე გადავიდა 755 აპლიკანტი, რომელთაგან დირექტორის სერტიფიკატი მიიღო 593-მა კანდიდატმა.
- ამჟამად გამოცხადებულია სკოლის დირექტორთა შესარჩევი კონკურსი 2074 საჯარო სკოლაში. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც 2013-2014 წლებში, ასევე 2022-2023 წელს სერტიფიცირებულ დირექტორების კანდიდატებს (თუ დაკარგული არ აქვთ სერტიფიცირებულის სტატუსი; დირექტორის სერტიფიკატი უქმდება, თუ კანდიდატი დააკმაყოფილებს სასერტიფიკაციო მოთხოვნებს, მაგრამ 7 წლის განმავლობაში ვერ დასაქმდება სკოლის ხელმძღვანელად);
- სკოლის დირექტორთა კონკურსისთვის ვაკანტური თანამდებობის დაკავების სურვილი 1409 კანდიდატმა გამოთქვა (მონაცემები დათვლილია კანდიდატთა მიერ პირველი პრიორიტეტის არჩევის მიხედვით).
- თუ ვივარაუდებთ, რომ 2022-2023 წლების სერტიფიცრებული ყველა დირექტორობის კანდიდატი დარეგისტრირდა კონკურსში (593 სერტიფიცირებული დირექტორობის კანდიდატი), ძველი სისტემით სერტიფიცირებული 816 კანდიდატი მონაწილეობს კონკურსში.
- დღევანდელი მოცემულობით, კონკურსში მონაწილეობს 1409 სერტიფიცირებული კანდიდატი, ხოლო სკოლების რაოდენობა, სადაც სკოლის დირექტორის არჩევნები უნდა ჩატარდეს, 2074-ია.

# რამდენად რეალურია დირექტორების არჩევნების პროცესი?

სკოლის დირექტორობის სერტიფიცირებულ კანდიდატს კონკურსით განსაზღვრული აქვს უფლება, შეარჩიოს მისთვის სასურველი არაუმეტეს სამი სკოლისა, სადაც სურს სკოლის დირექტორობა. სკოლების შერჩევა ხდება კანდიდატის მიერ. სკოლის დირექტორობის კანდიდატი ალაგებს მის მიერ შერჩეულ სკოლებს შერჩევის პრიორიტეტების მიხედვით (პირველი პრიორიტეტი, მეორე პრიორიტეტი, მესამე პრიორიტეტი);

სამივე პრიორიტეტული არჩევანის შედეგებს თუ შევაჯამებთ, აღმოჩნდება, რომ 2074 სკოლიდან 798 სკოლაში დირექტორობის არცერთი სერტიფიცირებული კანდიდატი არ დარეგისტრირებულა (ანუ სკოლების 38,5%-ს სერტიფიცირებული დირექტორი ვერ ეყოლება).

894 სკოლაში - მხოლოდ ერთი კანდიდატია (სკოლების საერთო რაოდენობის 43,1%) დარეგისტრირებული, რაც აბსოლუტურად გამორიცხავს კონკურენციას და შეჯიბრებითობას და არჩევნების შესაძლებლობას.

ამ მოცემულობიდან გამომდინარე, საჯარო სკოლების 81,6%-ში სკოლის დირექტორის არჩევნების პროცესი, ფაქტობრივად, არ განხორციელდება და მხოლოდ 382 სკოლაში მიმდინარეობს რეალური კონკურსი სკოლის დირექტორების შესარჩევად (სკოლების საერთო რაოდენობის მხოლოდ 18,4%-ში; იხილეთ გრაფიკი #1):

## გრაფიკი #1


სკოლებში დირექტორობის კანდიდატთა
რაოდენობების პროპორციები
18%
39%
43%
სკოლები კანდიდატის
გარეშე
სკოლები თითო
კანდიდატით
სკოლები ერთზე მეტი
კანდიდატით

# რომელია სკოლები კანდიდატების ყველაზე მეტი რაოდენობით?

კანდიდატების რაოდენობა 202 სკოლაში არის მხოლოდ 2, 94 სკოლაში კი - 3.

სკოლები, სადაც სკოლის დირექტორობის კანდიდატთა რაოდენობა 10 კანდიდატს აჭარბებს:
სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №163 საჯარო სკოლა;
სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლა;
სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლა;
სსიპ - ქალაქ თბილისის №114 საჯარო სკოლა (16 კონკურენტი);
სსიპ - ქალაქ თბილისის №136 საჯარო სკოლა;
სსიპ - ქალაქ თბილისის №166 საჯარო სკოლა;
სსიპ - ქალაქ თბილისის №177 საჯარო სკოლა;
სსიპ - ქალაქ თბილისის №207 საჯარო სკოლა;
სსიპ - ქალაქ თბილისის №64 საჯარო სკოლა;
სსიპ - ქალაქ რუსთავის №22 საჯარო სკოლა.

სამივე პრიორიტეტული სკოლის არჩევანის მიხედვით არსებული დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ცხრილში #1.

# ცხრილი #1

| ყველა პრიორიტეტის მიხედვით დაჯამებული მონაცემები | |
|---|---|
| 0 | 798 |
| 1 | 894 |
| 2 | 202 |
| 3 | 94 |
| 4 | 41 |
| 5 | 13 |
| 6 | 8 |
| 7 | 8 |
| 8 | 3 |
| 9 | 4 |
| 10 | 2 |
| 11 | 3 |
| 12 | 1 |
| 13 | 1 |
| 15 | 1 |
| 16 | 1 |

# როგორია კონკურენცია ქალაქის სკოლებში?

ქალაქში არსებულ 478 სკოლაში597 სერტიფიცირებული კანდიდატია დარეგისტრირებული - საშუალოდ ერთ ვაკანტურ ადგილზე 1,25 კონკურენტია.

ქალაქის 478 სკოლიდან 45 სკოლაში საერთოდ არ არის კანდიდატი (ქალაქის სკოლების საერთო რაოდენობის თითქმის 10%-ში), ხოლო 210 სკოლაში მხოლოდ 1 კანდიდატია, ანუ ქალაქის სკოლების 53%-ში არანაირი კონკურენცია არ არის.

დაბალია კონკურენცია სკოლებში, რომლებსაც ერთი ვადით ნამუშევარი დირექტორობის მოვალეობის შემსრულებელი ჰყავდათ, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეულია იმით, რომ მათ ახლა აქვთ შესაძლებლობა, მეორე ვადით იყვნენ არჩეული. როგორც ჩანს, ასეთ სკოლებში კონკურენციაში ნაკლებად შევიდნენ ახალი კანდიდატები.

რაც შეეხება სკოლებს, სადაც კანდიდატი საერთოდ არ არის, აქ სკოლების ფართო სპექტრია, მათ შორის დიდი ქალაქების: თბილისის, ქუთაისი, ბათუმის საჯარო სკოლებიც.

## ცხრილი #2 დირექტორობის კანდიდატების რაოდენობა საქალაქო დასახლებების სკოლებში

| ყველა პრირიტეტის მიხედვით დაჯამებული მონაცემები | |
|---|---|
| 0 | 45 |
| 1 | 210 |
| 2 | 88 |
| 3 | 59 |
| 4 | 32 |
| 5 | 13 |
| 6 | 7 |
| 7 | 8 |
| 8 | 3 |
| 9 | 4 |
| 10 | 2 |
| 11 | 3 |
| 12 | 1 |
| 13 | 1 |
| 15 | 1 |
| 16 | 1 |

# როგორია კონკურენცია სოფლის/დაბის/თემის სკოლებში?

სოფლის, თემის და დაბის სკოლებში 1597 სკოლაზე 812 სერტიფიცირებული კანდიდატია.

1595 სკოლიდან 753 სკოლაში სკოლის დირექტორობის კანდიდატი რეგისტრირებული არ არის, ანუ ამ ტიპის დასახლებებში არსებული სკოლების საერთო რაოდენობის ზუსტად 47%-ში; 684 სკოლაში კი მხოლოდ ერთი კანდიდატია (ანუ ამ ტიპის დასახლების სკოლების 43%-ში).

რეალური კონკურსი ტარდება მხოლოდ 159 სკოლაში 1595 სკოლიდან ანუ ამ ტიპის დასახლებებში არსებული სკოლების საერთო რაოდენობის ზუსტად 10 %-ში:

| ყველა პრიორიტეტის მიხედვით დაჯამებული მონაცემები (სოფელი, თემი, დაბა) | |
|---|---|
| 0 | 753 |
| 1 | 684 |
| 2 | 114 |
| 3 | 35 |
| 4 | 9 |
| 5 | 0 |
| 6 | 1 |

## გრაფიკი #2




## გრაფიკი #3



USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა
USAID CIVIL SOCIETY ENGAGEMENT PROGRAM

ბიულეტენი მოამზადა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

სამოქალაქო ინტეგრაციისა
და ეროვნებათშორისი
ურთიერთობების ცენტრი
www.cciir.ge
FB/CCIIR
cciir.info@gmail.com